

გაუმაჩოს 1 მაისს — მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძაობის დღეს!

პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзной

№ 17 (405) პარაკმედი, 28 აპრილი, 1950 წ. ფასი 30 კაპ.

მშრომელთა სოლიდარობის დღე

დღი პოლიტიკური აქტივობითა და შრომითი აღმავლობით ეგებება მთელი ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძაობის დღეს — 1 მაისს. ამ დღადი დღესასწაულისათვის მზადების დღეებში გამოქვეყნდა საქვეშრო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი, რომლებიც განსაზღვრავენ საბჭოთა ხალხის ამოცანებს მათს ბრძოლაში სოციალისტური საშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, კომუნისტების განმარჯვებისათვის. საქვეშრო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საპირველმართო მოწოდებებში განსაზღვრულია ჩვენი სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის მუშაკთა კონკრეტული ამოცანები.

პირველი მაისი წელს ტარდება მტკიცე მშვიდობისათვის, მშვიდობიანი შრომისათვის, განაღებულ შვიარაღების წინააღმდეგ ყველა თავისუფალი ხალხების ბრძოლის შემდგომი გაძლიერების ნიშნით. დღითიღვე იზრდება და მტკიცდება მშვიდობის მომხრეთა ძალობა ფრონტი. მსოფლიოს ყველა კუთხეში ფართოდება მასობრივი კამპანია ხელის მოწერის შესაგროვებლად მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მე-3 სესიის მოწოდებებზე, რომელიც მოითხოვს ატომური იარაღის აკრძალვას და ყველა იმ მთავრობის სამხედრო დამანაშავედ მიჩნევას, რომელიც პირველი გამოიყენებს ატომურ იარაღს.

საქვეშრო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საპირველმართო მოწოდებებში გამოხატულია დემოკრატიისა და სოციალისტური ბანაკის მეთაურის — საბჭოთა კავშირის ხალხების ინტერესები, მათი ნებისყოფა და სურვილი.

პირველი მაისის დღესასწაულს საბჭოთა ხალხი ეგებება შეხანიშნავი გამარჯვებებით. წარმატებით ბორციელდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

მშობლიური ბოლშევიკური პარტიის, გენიალური ბელადის დიდი სტალინის გარემოში მტკიცედ შემჭიდროვებული საბჭოთა ადამიანები საპირველმართო დემონსტრაციებზე გამოვლენ ჩვენი საშობლოს შემდგომი აყვავებისა და გაძლიერებისათვის, კომუნისტების გამარჯვებისათვის ბრძოლის დროში. საბჭოთა ქვეყნის შრომე-

ლები ამყობენ, რომ მათი საშობლო წარმადგენს მშვიდობისა და უშიშროების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტკიცე ბუჯს. ისინი ამყობენ იმით, რომ საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ყველა მშრომელთა მტკიცე დასაყრდენი და იმედია, რომ იგი მთელს მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის მეტროსა და ამიტომაც, საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან ერთი მიზნით — უფრო მეტი ენერგიით იშრომონ, მეტი დიდება და სახელი მოუხვედონ საყვარელ დედისამშობლოს, განამტკიცონ დიდი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება.

მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი ზემოთ აღნიშნავენ პირველ მაისს ჩვენი სახელოვანი ფიზკულტურელები. ისინი ხომ ყველა მშრომელთან ერთად ხელობენ ჩაიდებულ მუშაობენ სამკარავებსა და საკომლენურეო მინდვრებს, მათთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იძლევიან მაღალნაყოფიერ შრომის ბრწყინვალე მაგალითებს.

პირველ მაისს საბჭოთა ფიზკულტურელები თუბაკებენ ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, მშობლიურ ბელადსა და მასწავლებელს — დიდ სტალინს თავიანთს წარმატებებზე სპორტში; ამ დღეს ისინი ერთხედ კიდევ გამოხატავენ მზადყოფანს დაუღალავად იბრძოლონ ფიზკულტურული მომართობის მასობრივობის შემდგომი ზრდისათვის, მაღალი სპორტული მიღწევებისათვის, ახალი რეკორდებისათვის.

ჩვენი ფიზკულტურელები, საბჭოთა ხალხთან ერთად, უღრმესი სიყვარულით წარმოსთქვიანენ საქვეშრო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საპირველმართო მოწოდებების შთამბავნებულ სიტყვებს:

— გაუმარჯოს ჩვენი დიდ საბჭოთა საშობლოს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა შეგობრობისა და დიდების ციხე-სიმაგრეს!

— გაუმარჯოს ბოლშევიკების დიდ პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას, ბრძოლებში გამორწობილ საბჭოთა ხალხის ავანგარდს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

— ლენინის დროში, სტალინის წინამძღოლობით — წინ, კომუნისტების გამარჯვებისაკენ!


წინასამართლო სოციალისტური შეჯიბრება ფიზკულტურელები — თავდადებული მკობის ფარსხელები

ახალ შრომით წარმატებებს მიღწევა თბილისის კიროვის სახელობის დაზავებულნი მკობის მუშა ახალგაზრდობამ წინასამართლო სოციალისტური შეჯიბრებაში. წინასამართლო ცნობების მიხედვით გამარჯვებულ ახალგაზრდათაგან უმეტესობა ფიზკულტურელია. წარჩინებული ხარატები ვ. ზანგუროძე, ვ. ვენეცი, ვ. გენიშვილი და ი. მოღდება, რომლებიც შეჯიბრების ნაყისარ ვალდებულებებს 200-300 პროცენტით ასრულებენ, საუკეთესო ფეხბურთელები არიან. მათ არაერთგზის დაუცავთ ქარხნის სპორტულს დარგებს.

ტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ საგრძობლად გააუმჯობესა მუშაობა და გააღვიძა შრომის ნაყოფიერება. ასევე გადაჭარბებით ასრულებენ წინასამართლო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს თბილისის ავტომშენებელი ქარხნის მოწინავე სპორტსმენები. ე. აივაზოვი და გ. რადინკო მეორე თანრიგის ფეხბურთელები არიან, დღით დავალებას ისინი 300-400 პროცენტით ასრულებენ. ახალგაზრდა ზენკალი ჯ. ნიკოლაძე ქარხნის ფეხბურთელთა მეორე გუნდის კაპიტანია. მან სოც. შეჯიბრების ნაყისარი ვალდებულებანი 250 პროცენტით განაღდა.

ზ. ფორაძისფილი

წარმატებით ასრულებს წინასამართლო ვალდებულებებს თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მოწინავე ფიზკულტურელი, საწარმოს ფეხბურთელია გუნდის კაპიტანი ჯემალ ნიკოლაძე. საიარაღო საამქროს ახალგაზრდა ზენკალი საწარმოო გეგმებს სისტემატურად ანაღდება 230-250 პროცენტით. სურათში: ჯ. ნიკოლაძე მუშაობის დროს.



მთავარი ყუარლება — 1950 წლის გეგმების შესრულებას

საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტელები ორგანიზაციებმა გასულ წელს დიდი მუშაობა ჩაატარეს რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის შემდგომი აღმავლობისათვის. იბრძოდნენ რა საქვეშრო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დეკემბრის ისტორიული დადგენილების წარმატებით რეალიზაციისათვის, რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1949 წლის გეგმის ყველა ძირითადი მაჩვენებელი მათ გადაჭარბებით შეასრულეს. 5.287 ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის დასაფუძვლად წლის ბოლისათვის იყო 5.841 კოლექტივი, რომლებიც აერთიანებდა 329.446 კაცს. ასევე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით იქნა განაღდებული მშთ ნიშნისათვის და სპორტსმენთა რიგისათვის მომზადების გეგმები.

ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს სპორტულმა ორგანიზაციებმა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კიდურების მომზადების მხრივ. მარტო გასულ წელს რესპუბლიკაში მომზადდა 1.752 ძირეული ფიზკულტურული საბჭოს თავჯდომარე და ფიზორგი, 3.783 ინსტრუქტორი სპორტის სხვადასხვა სახეში, 1.696 მსახი და 811 მწვრთნელი. საზოგადოებრივი ძალებით აშენდა და მოეწყო 2.164 უბრალო ტიპის სპორტული ბაზა.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1949 წლის გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით ისახელებს თავი ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის და ქუთაისის საქალაქო, თელავის, ქუთაისის, მახარაძის, მცხეთის, ხაშურის, ზუგდიდის, ზესტაფონის, გეგმკარის რაიონულმა კომიტეტებმა.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გასული წლის გეგმების შესრულებით

სათვის რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მიინცდამინც თავი არ შეუწყუბნებიათ (დუშეთი, დმანისი, კასპი, წყალტუბო, ქარელი და სხვ.).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გასულ წელს საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნდათ სოფლის ახალგაზრდობაში მასობრივი სპორტული მუშაობის გასრულის მხრივ, რის შედეგად ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმის მთელი რიგი მაჩვენებლები სოფლად შეუსრულებელი დარჩა. შესტად იყო დაყენებული მუშაობა ქალთა შორის. ამ საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩებიან ტყებულის, ქარელის, გურჯაანის, ახალციხის რაიონული და რუსთაისა და ქიათურის საქალაქო ფიზკულტურული ორგანიზაციები.

განსაკუთრებით უგულვებელყოფილი იყო გასულ წელს საშეფო მუშაობა. ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები და საქალაქო ფიზკულტურული კომიტეტები, მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, ძალზე სუსტ დახმარებას უწყვედნენ სასოფლო რაიონების ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს. ამ მხრივ სრული უმოქმედობა გამოჩინეს სპორტსაზოგადოებების „ქრასნოე ზნამიას“, „ტრუდის“ და „მოლიას“ რესპუბლიკურმა საბჭოებმა.

მიმდინარე წელს საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე მეტად სერიოზული ამოცანებია დასახული.

რესპუბლიკაში ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების რაოდენობა უნდა გაიზარდოს 6.275-მდე, კოლექტივების წევრთა რაოდენობა კი 345.400 კაცამდე. 1950 წლის სეზონში უნდა მომზადდეს მშთ I საფეხურის 75.100 ნიშნისანი, მშთ II საფე-

ხურის 8.570, მშთ 26.000 ნიშნისანი; 470 პირველთანრიგისანი, 1.670 მეორეთანრიგისანი, 9.950 მესამეთანრიგისანი და 7.500 მოზარდთა თანრიგისა.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა დროულად იქნა დაყვანილი რესპუბლიკის ყველა საქალაქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტამდე და სპორტულ საზოგადოებამდე. საქორთა ფიზკულტურის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა ასევე ოპერატიულად დაუგზავნონ გეგმები ძირეულ ორგანიზაციებს და სათავეში ჩაუდგნენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1950 წლის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლას. აქვე უნდა გავითვალისწინოთ გასული წლის შეცდომები და ნაკლოვანებები, რათა ამგვარი რამ წელს არ განმეორდეს. კომიტეტებისა და საბჭოების სხობებზე სისტემატურად უნდა ინიცილობდეს ცალკეულ ორგანიზაციებში გეგმების შესრულების მიმდინარეობის საკითხი და დასახული ღონისძიებების განხორციელებით ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე შეუჩერებლად მიდიოდეს წინ.

მთელი ჩვენი ყურადღება აქედანვე უნდა მიეპართი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1950 წლის გეგმის ყველა მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულებისაკენ. საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ძალდონე არ უნდა დაზოგონ იმისათვის, რათა მიმდინარე წელსაც მოიპოვონ ერთ-ერთი მოწინავე ადგილი საბჭოთა კავშირში.


ბ. კიხნაველიძე,
საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილების უფროსი.

თბილისად კალთაუკითა ნაკაგება

გუნდაზა მოიგო ყველა მატჩი

ლენინგრადი. (ჩვენი კორ.). აქ დიდი დამაბულობითა და ინტერესით ჩატარდა სპორტული საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს საქვეშრო პირველობა კალათბურთში. განსაკუთრებით მძაფრ ხასიათს ატარებდა მამაკაცთა გუნდების ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ტალინის, ბაქოს, რიგის, როსტოვისა და ნოვოსიბირსკის წარმომადგენლები.

ტურნირში ბრწყინვალე გამარჯვებას მიღწეეს თბილისელმა კალათბურთელებმა. მათ ყველა შეხვედრა მოიგეს და დამასხურებულად მიატოვეს „დინამოს“ საქვეშრო ჩემპიონის წოდება. თბილისელთა მატჩებიდან აღსანიშნავია მოსკოვის გუნდზე გამარჯვება ინგარიშით 27:22, აგრეთვე გამარჯვება ტალინის კოლექტივთან დამატებით ღროში.



საქვეშრო პროფსახპოს პირველობაზე სიმძიმითა აწევასი სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა სპორტის ოსტატმა შტანგისტმა ი. დუგანოვმა (საშუალო წონა). მან ორი ზელი ატარა 125,800 კგ. წონის შტანგა. სურათში: ი. დუგანოვი აყვარებს რეკორდს.

4 ქალაქის მავრი განვარჯიხები

სათანრიგო ნორმაში შეასრულა მშ სპორტსმენება

გორი. (ჩვენი კორ.). ამ რამდენიმე დღის წინ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის სასპორტო დარბაზში ჩატარდა გორის, თელავის, სტალინისა და ახალციხის ტანმოვარჯიშეთა გუნდების შეჯიბრება, რომელშიც 47 სპორტსმენი მონაწილეობდა.

გუნდურ სთავლაში გამარჯვება მოიპოვა სტალინის ნაკრებმა — 440,55 ქულა.

პირველთანრიგისან ქალთა შორის ყველას აჯობა სტალინელმა ვ. დბარმა — 95,8 ქულა; მეორე თანრიგში ახალციხელმა ლ. ერგანიამ — 57,1 ქულა.

მეორეთანრიგისან ვეთა შორის კარგ შედეგებს მიადწია მ. იაქიმ, — 52,6 ქულა, მესამე თანრიგში — ვ. ანულოვა (ორივე ახალციხელი) — 54,1 ქულა.

შეჯიბრებაზე სათანრიგო ნორმები შეასრულა 32 სპორტსმენმა.
გ. ანიკაშვილი

საბჭოთა აზერბაიჯანის 30 წლისთავი

ნავთობის რესპუბლიკაში

აზერბაიჯანელი ხალხის ღვაწლად

დღეს სრულდება 30 წელი მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის მშრომელთა დიდი რუსი ხალხის მხარდაჭერით დაიწყო მუსაფაჰოვების საზოგადოებრივი უკუშენიშნულობის რევიზია და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. ამ დღეს აზერბაიჯანელმა ხალხმა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სულს ღდავდა ექსპლოატატორებისა და უცხოელ დამპყრობელთა უღელქვეშ, მოიპოვა ახალი, ბედნიერი ცხოვრება. ხალხი გახდა თავისი ბედის მატონ-პატრონი, ყველა იმ სიმდიდრეთა მატონ-პატრონი, რითაც ბუნებამ უზარა დააჯილდოვა აზერბაიჯანი.

დიდი ცვლილებები მოხდა ნავთობისა და ბამბის რესპუბლიკაში ამ 30 წლის მანძილზე. განუზომად გაიზარდა მისი ეკონომიკა. საკომლექსურ ცხოვრებაში ახალი შესაძლებლობანი გაღწეულია გლეხობის წინაშე. ლენინური სტალინური ნაციონალური პოლიტიკის, ხალხების მეგობრობის შედეგად რესპუბლიკის მშრომელები სულ ახალ და ახალ წარმატებებს აღწევენ კომუნისტური ზეგონითა და ბრძოლით.

სამეურნეო და კულტურული ცხოვრების მკვეთრმა განვითარებამ რესპუბლიკაში შექმნა არახალ შესაძლებლობანი ფიზიკური კულტურის აღმავლობისათვის.

მარტო საბჭოთა ხელისუფლების წლებში მონობისაგან განთავისუფლებულმა ხალხმა ყველა შესაძლებლობა მოიპოვა ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის. ფიზიკური კულტურა მტკიცედ დამკვიდრდა მშრომელთა ყოველცხოვრებაში. მას ერთნაირი გატაცებით ეწევიან ნავთობის მრეწველობის მუშაკები, მანქანათმშენებლები, კომლექსურნი, მოსწავლეები, საბჭოთა არმიის მებრძობნი. ასეა აზერბაიჯანის ფიზიკულ-სპორტული ორგანიზაციები 250 ათასზე მეტ კაცს აერთიანებენ.


საბჭოთა ფიზიკულ-სპორტული მოძრაობის წარმატებათა საწინდარი მდგომარეობა მის მასობრივობაში, პარტიულ ხელმძღვანელობაში, იმ პოპულარობაში, რითაც იგი ხალხში სარგებლობს. პარტიის ზრუნვაზე საბჭოთა ფიზიკულ-სპორტულნი და აზერბაიჯანის სპორტკლუბები პასუხობენ

მ. ალმაჯირი

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულ-სპორტის საკმეთა კომიტეტის თავმჯდომარე

თავიანთი სტახანოვური სწრაფობით, მაღალი ტექნიკური მიღწევებით.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში საკავშირო ასპარეზობებზე გამოიყვანა ნიჭიერ სპორტსმენთა დიდი ჯგუფი. სტუდენტთა საერთაშორისო თამაშებში გამარჯვებული მოქიდავე მ. ბაბაევი, ვოლაზე 150 კილომეტრის მარათონულ გაკურვავში გამარჯვებული ვანო სტურუას სახელობის ბაქოს გემთმშენებელი ქარხნის ზეინკალი ა. კოზირევი, ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი, რომელმაც ამას წინათ გააუმჯობესა 15 კილომეტრზე სპორტული სიარულის მსოფლიო რეკორდი, ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი



ქ. ბაქოს სასწავლებელთა სპორტკლუბის მდივანი აზერბაიჯანის 30 წლისთავისადმი. სურათში: საგზაჯილე ველომარათონის ტრასაზე ლოკ-ბატანი. ფოტო ჩვენი სპეც. კორესპონდენტი ნ. ვოლკოვისა.

ი. პოპოვი, ახალგაზრდა კიროვადელი მოქიდავე სპორტის ოსტატი ა. ტერიანი, რეკორდსმენი სასტენდო სროლაში ნ. ჩანდნი, მძლეოსანი სპორტის ოსტატი ნ. მადათოვი, აზერბაიჯანის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ფ. დამაშევი და სხვები, რომელთა სახელები ფართოდ ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც.

ასრულდებიან რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილებას, აზერბაიჯანის ფიზიკულ-სპორტული ორგანიზაციები პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მხარდაჭერით და კომკავშირთან მჭიდრო მეგობრობით განაგრძობენ ფიზიკური კულტურის განვითარების 1949 წლის სახელმწიფო გეგმას.

რესპუბლიკის კომლექსურნი მუშაობს ფიზიკური კულტურის 837 კომპლექტი, რომლებიც 25.134 კაცს აერთიანებენ. საოფლო-სამეცნიერო არტელში ითვლება 630-ზე მეტი საფეხბურთო მოედანი, სატანჯარჯიზო ბაქანი. გასულ წელს 5.535 კომლექსურნი ჩააბარა ნორმები მშენიშნაზე; ამათგან 142-მა მიიღო სპორტული თანრიგები.

მაგრამ ყველა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ჩვენი წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ რესპუბლიკის ფიზიკულ-სპორტული ორგანიზაციებს საფუძვლიანი გამოყენებინათ ყველა ის შესაძლებლობანი, რაც მათ გააჩნიათ. სპორტული მუშაობის დონე კიდევ ჩამორჩება იმ მოთხოვნებებს, რომლებსაც გვიყენებს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა ის გზები, რომლებზეც უნდა განვითარდეს ფიზიკური მოძრაობა სსრ კავშირში.

აღნიშნავენ რა რესპუბლიკის 30 წლის იუბილეს, აზერბაიჯანის ფიზიკულ-სპორტული პირობას აღწევენ პარტიას; მთავრობას და დიდ სტალინს, რომ ისინი მთელი მზარდი ენერჯით იბრძობენ ამ ამოცანის შესრულებისათვის, მოიპოვებენ ახალ წარმატებებს შრომაში, სწავლაში, სპორტში.

სათანადგომ მოთხოვნები დღევანდელი მშენებლისა და ქართულ ჭიდაობაში

ჩვენი გზების 14 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ფიზიკულ-სპორტისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა დამტკიცა ქართული ხალხური ნაციონალური სპორტის სახეებში — ქართულ ჭიდაობაში, ისინდში, ცხენბურთსა და ლელოურთში სათანადო მოთხოვნები (ნორმები), შემუშავებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქართველოს კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

ლელოური, ისინდა და ცხენბურთი

პირველი თანრიგი. მონაწილეობა მიიღოს იმ გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც საქართველოს სსრ პირველობის გათამაშებაში დაიჯივ პირველი ადგილი ან ორჯერ მოიგო თამაშის 60 პროცენტი.

მეორე თანრიგი. მონაწილეობა მიიღოს იმ გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც საქართველოს სსრ პირველობის გათამაშებაში მოიგო თამაშის 50 პროცენტი, ან საქართველოს სსრ თასი, ან თამაშობდა ორი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ თასის ფინალში, ან ერთი წლის განმავლობაში მოუგო არანაკლებ ხუთი ოფიციალური შეხვედრა იმ გუნდს, რომელმაც შეასრულეს მეორე თანრიგის მოთხოვნები.

მესამე თანრიგი. მონაწილეობა მიიღოს იმ გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც არანაკლებ ექვსი გუნდის მონაწილეობით მოიგო ქალაქის, რა-

იონის პირველობა, ან მოიგო ფიზიკულ-სპორტის კომპლექტის (სპორტული ორგანიზაციის) პირველობა, სადაც მონაწილეობდა არანაკლებ სამი გუნდი, ან რვა თამაში ქალაქის ან რაიონის პირველობის გათამაშებაში.

ქართულ ჭიდაობაში

პირველი თანრიგი. შეჯიბრებებში საქართველოს სსრ პირველი პირველობაზე დაიჯივოს პირველი ადგილი (თუ მონაწილეობდა არანაკლებ მოქიდავე), ან წლის განმავლობაში მონაწილეობის შემდეგ მკვიდრად დაიჯივოს პირველი თანრიგის სხვადასხვა მოქიდავესთან, ან სამი გამარჯვება პირველი თანრიგის სხვადასხვა მოქიდავესთან.

მეორე თანრიგი. წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღოს იმ გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც საქართველოს სსრ პირველობის გათამაშებაში მოიგო თამაშის 50 პროცენტი, ან საქართველოს სსრ თასი, ან თამაშობდა ორი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ თასის ფინალში, ან ერთი წლის განმავლობაში მოუგო არანაკლებ ხუთი ოფიციალური შეხვედრა იმ გუნდს, რომელმაც შეასრულეს მეორე თანრიგის მოთხოვნები.

მესამე თანრიგი. მონაწილეობა მიიღოს იმ გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც არანაკლებ ექვსი გუნდის მონაწილეობით მოიგო ქალაქის, რა-

იონის პირველობა, ან მოიგო ფიზიკულ-სპორტის კომპლექტის (სპორტული ორგანიზაციის) პირველობა, სადაც მონაწილეობდა არანაკლებ სამი გუნდი, ან რვა თამაში ქალაქის ან რაიონის პირველობის გათამაშებაში.

მეორე თანრიგი. წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღოს იმ გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც საქართველოს სსრ პირველობის გათამაშებაში მოიგო თამაშის 50 პროცენტი, ან საქართველოს სსრ თასი, ან თამაშობდა ორი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ თასის ფინალში, ან ერთი წლის განმავლობაში მოუგო არანაკლებ ხუთი ოფიციალური შეხვედრა იმ გუნდს, რომელმაც შეასრულეს მეორე თანრიგის მოთხოვნები.

ახალგაზრდობა უფლება მუშაობისა და სპორტის

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში გაჩაღებულია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. აქ გულმოდგინედ მუშაობენ სტუდენტთა მსახიობებთან მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებით. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებამ, რომელიც გასული წლის ოქტომბერში შექმნა, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მისი ოთხი სექციის (სოციალ-ეკონომიკური, ბიოლოგიური, პედაგოგიკური, სპორტული) 13 წრეში გაერთიანებულია ინსტიტუტის ორასამდე სტუდენტი. ისინი დიდი მონდობით ამუშავებენ მრავალფეროვან მეცნიერულ თემებს, რომელთა რიცხვი ამჟამად 105-ს აღწევს.

ზემოაღნიშნულს ნათლად აღსატყობს ინსტიტუტის სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა. პირველად მომხდენ იქნა მეორე კურსის სტუდენტის გ. ყარალაშვილის მოხსენება თემაზე „საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის“.

მეცნიერულ-სპორტული მუშაობის განხორციელებაში სათანადო მხარდაჭერა მიიღეს სპორტში მეცნიერებისა და მისი თავიანთი აქტივობა — განმარტა, თუ როგორ შეიძლება ბრძოლა სპორტულ ტრავმასთან თხილამურებით ვარჯიშის დროს. ეს ნაშრომი, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, გ. კოჩინს საფუძვლიანად დაკარგად დაუმუშავებია, მხოლოდ, როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, ავტორის მხედველობიდან გამორჩა ის დადებითი მონაცემები, რაც სათხილამურო სპორტს ახასიათებს.

ცნობილი საბჭოთა პედაგოგის მაკარენკოს მოღვაწეობისადმი იყო მიძღვნილი მეორეკურსელ შ. ბუაძის

მეორე და მუშაობის თემა „შრომითი აღზრდა მაკარენკოს პედაგოგიკურ სისტემაში“. დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისს შეეხებოდა მეორეკურსელ გ. გოდერძიშვილის საფუძვლიანი და მუშაობის თემა „საბჭოთა კარგად ასახა დიდი რუსი მეცნიერის ი. პ. პავლოვის ცხოვრება და მოღვაწეობა თავის მოხსენებაში მეორეკურსის სტუდენტმა არტემა“.

მეორეკურსელმა კალატოზმა კონფერენციაზე წარმოადგინა უამრავი ფაქტური მასალის საფუძველზე დამუშავებული მოხსენება „ი. პ. სტალინი — სამბაქალაქი ომში ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი და სულიერი მამამთავარი“.

საინტერესო იყო მეოთხე კურსის სტუდენტის ა. ნემსაძის მოხსენება სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ეგნატაშვილის სპორტული და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ. პირველკურსელმა გ. გოდერძიანმა მოხსენების თემაზე აირჩია: „კუნთოვანი ქსოვილი“, სადაც მან ნათელყო კუნთოვანი ქსოვილის ზრდა ფიზიკური ვარჯიშის შედეგად და აგრეთვე მისი ატროფია სტუდენტის უმოძრაობის შემთხვევაში.

მოხსენებები წაიკითხეს აგრეთვე სტუდენტმა ო. მდიანამ („დიდი რევოლუციონერი-დემოკრატი ნ. დობროლუბოვი“), გ. ბახტარამ („შრომის მხედრით განაწილების სოციალისტური პრინციპი“), ჩერემოვსკიამ („ბიოლოგიის კურსის სწავლების საფუძველები და მეთოდები“) და სხვ.

კონფერენციამ, რომელზედაც წაითხებოდა იქნა 16 მოხსენება, დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტის შორის. აქ გამოვლინდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი ახალგაზრდობის დაუცხრომელი სწრაფვა.

რისიკაგებიის დამსახურებული

ლენინის ორდენის და შრომის წითელი დროშის ორდენის ღვაწლადის სახელობის ლენინგრადის ფიზიკულ-სპორტის ინსტიტუტში საქართველოს ფიზიკულ-სპორტის საქართველოს კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ი. ალიბაბაევმა პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდების მისაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ყუშაბარის ტყუილების რაციონალური ხერხები ციკაბო ფე-

რდობის პირობებში და მათი შესწავლის მეთოდიკა“.

ოფიციალურმა ოპონენტებმა, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატებმა დოცენტებმა დ. ა. სემიონოვმა და ე. გ. კოტელნიკოვმა მაღალი შეფასება მისცეს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაის ნაშრომს.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ფარული კენჭის ყრით ი. ა. ალიბაბაევს ერთხელ მიანიჭა პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

სპორტული ბაქოში

... წყნარი დილა გათენდა კვირას, 23 აპრილს. ჭაღარა კასპის ზღვის ტალღები წყნარად ეხებებოდნენ ნაპირს. ასობით ბაქოელი გაეშურა სტადიონებისა და მოედნებისაკენ. „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა ბაქოს უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება. ექვსი ახალი რესპუბლიკური რეკორდი დამსვენდა ეს დღე.

დიდი იუბილეს აღსანიშნავად მიმდინარეობს ქალაქის სასწავლებლების სპორტკლუბი, რომელშიც მონაწილეობს 6.000 კაცი. დამატული ბრძოლების შედეგად უმაღლეს სასწავლებლებს შორის პირველი ადგილი უკავია აზერბაიჯანის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სპორტული კომპლექტის.



აზერბაიჯანის საუკეთესო სპორტსმენები (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. მარქარიანი, მ. მამედოვი, ა. კოზირევი, ე. კუსკოვსკია და ნ. მადათოვი. ფოტო ჩვენი სპეც. კორესპონდენტი ნ. ვოლკოვისა.

ციფრები და ფაქტები

აზერბაიჯანს აქვს 68 სპორტის ოსტატი და სპორტის დამსახურებული ოსტატი, 520 პირველი და 1.600 მეორე თანრიგის სპორტსმენი.

რესპუბლიკის რეკორდების ცხრილებში 1949 წელს 187 შესწორება იქნა შეტანილი.

1949 წელს ჩატარდა 6.557 სხვადასხვა პირველობა და შეჯიბრება, სადაც 181.850 კაცი მონაწილეობდა.

რესპუბლიკაში ყველაზე გავრცელებული სპორტის სახეა მძლეოსნობა, რომელშიც ჩაბმულია 45 ათასზე მეტი კაცი. დიდი პოპულარობით სარგებლობს ფეხბურთი და აზერბაიჯანელი ხალხური ჭიდაობა „გიულუშ“.

სასწავლებლებში, სასპორტო ორგანიზაციებში მუშაობს უმაღლესი ფიზიკულ-სპორტული განათლების მქონე 320 სპეციალისტი. სპეციალისტებს ამაღლებენ ს. მ. კიროვის სახელობის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, რომელიც 20 წელია არსებობს, და კიროვბაძის ფიზიკულ-სპორტის ტექნიკუმი.

600.000 მანეთის სპორტული ინვენტარი შეიძინეს გასულ წელს ფიზიკულ-სპორტის საკომლექსურნი კომიტეტებმა.

სპორტული ასპარეზობა

დასასრულს უახლოვდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პირველი სპარტაკიადი. უკანასკნელი კვირის განმავლობაში ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა კალათბურთში. თორმეტი ფაქულტეტის ქალთა და ვაჟთა გუნდები პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს. უძლიერესი აღმოჩნდა ფილოსოფიის ფაქულტეტის კოლექტივი (ნ. ებანოიძე, ზ. მუშუქიანი, რ. ახალაძე, ი. ნოვიკოვა, ლ. ახობაძე, ე. ჯაფარიძე, ლ. ლლონი, ნ. მიხაილოვა), რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა უნივერსიტეტის ჩემპიონის ტიტული. ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაქულტეტის გუნდი (ო. კალანდაძე, ც. გოგიაშვილი, გ. რუხაძე, ო. აფაქიძე, ვ. ანანიავილი, ვ. აზაურაშვილი, ჯ. ჯაფარიძე, გ. ქურდიანიძე).



ტის მრავალჯერ ჩემპიონის ფიზიკ-მათემატიკისა და ფილოსოფიის ფაქულტეტების გუნდების შეხვედრა. დაამარცხეს რა ძლიერი მეტოქე უნივერსიტეტის ჩემპიონის წოდება ამჯერად მოიპოვეს ფილოსოფიის ფაქულტეტის წარმომადგენლებმა.

მცირეწლოებიანი შაშხანიდან სროლაში მონაწილეობდა 120 კაცი. ხუთი დღის ბრძოლებში გაიმარჯვა ისტორიის ფაქულტეტის გუნდმა. საერთო შედეგების მიხედვით ჯერჯერობით პირველ ადგილზე არიან ფილოსოფიის ფაქულტეტის სპორტსმენები, მეორე ადგილზე — გეოგრაფია-გეოლოგიის ფაქულტეტის წარმომადგენლები.

მიმდინარეობს შეჯიბრება ფეხბურთში, ლელობურთში, ქართულ ჭიდაობაში, ბავირის გადაჭიმვაში და სხვ.

დ. გულისაშვილი

სურათში: გეოგრაფია-გეოლოგიისა და ფიზიკა-ტექნიკური ფაქულტეტების კალათბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი. მატჩი დაამთავრა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაქულტეტის სტუდენტთა გამარჯვებით.

ფოტო კ. კრიშკისა

საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება ფელოსპორტში. 23 აპრილს საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე (ნატარას რაიონში) 48 ქალიშვილი და 74 მამაკაცი შეეჯიბრა ერთმანეთს. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა (ჭეროდა ძლიერი ქარი) სტუდენტმა ველოსიპედისტებმა კარგი მომზადება გამოამჟღავნეს. ქალთა შორის უნივერსიტეტის ჩემპიონი გახდა აღმოსავლეთმოდენობის ფაქულტეტის სტუდენტი მ. დგუბაძე, ვაჟებში გასული წლის ჩემპიონი, ეკონომიკის ფაქულტეტის სტუდენტი ნ. ქოიავა. გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ეკონომიკის ფაქულტეტის გუნდმა.

ოცი დღის განმავლობაში ქაღარაკის დაფებთან ერთმანეთს ებრძოდა 120 მოჭადრაკე, მათ შორის 40 ქალიშვილი. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლებით აღინიშნა უნივერსიტე-

შეჯიბრება ჩაშლილია

სახალხო სპორტული სეზონი უკვე დაიწყო, მაგრამ ბათუმის ორჯონიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კომიკური კომიტეტის მიდინის გ. ბელოვას და ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარის მ. ჩერნიშევის უდარდლობის შედეგად ფაბრიკის სპორტული მოედნები, სარბენი ბილიკი, დაბრკოლებათა ზოლი და სხვ. ჯერ კიდევ მზად არ არის.

ცუდი მუშაობის შედეგად ფაბრიკის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი თავის რიგებში ითვლის მხოლოდ 85 წევრს, ეს მაშინ, როდესაც ფაბრიკაში 300-ზე მეტი ახალგაზრდა მუშაობს.

წელს ფაბრიკაში საკონტროლო დავალებს თანამხად უნდა მომზადდეს 30 მშთ ნიშნისანი, 1 პირველი თანრიგის, ხოლო 2 მეხამე თანრიგის სპორტსმენი. უკვე აპრილი მთავრდება, მაგრამ ამის შესახებ აქ ჯერ არავის უფიქრია.

ფაბრიკის ძირეული ფიზკულტურული ორგანიზაციის ცუდი მუშაობა იმიტომ უნდა იხსნას, რომ მას ნაკლებად ენებარება ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტი.

იანვარში საქალაქო კომიტეტი ერთი ლექციის ჩატარებას დაპირდა ფაბრიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციას. ლექცია დანიშნა, ახალგაზრდები ინტერესით მოელოდნენ მას, მაგრამ ლექტორი მოულოდნელად აფად გახდა და ლექცია ჩაიშალა.

ბათუმის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა ყველა ზომა უნდა მიიღოს იმისათვის, რომ ფიზკულტურული მუშაობა სამკერვალო ფაბრიკაში მოწოდების სიმაღლეზე დადგეს.

პ. სანგიძე
(ჩვენი საკ. კორ.)

ბათუმი.

მოკლე ცნობები

მიატოვრა. ჩატარდა 1950 წლის საქალაქო ჩემპიონატი, რომელშიც 18 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

II საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ, მოსწავლეთა ჩემპიონატში გამარჯვებულმა გ. ტარსაძემ, საუკეთესო შედეგებს მიაღწია და ქალაქის 1950 წლის ჩემპიონი გახდა.

რ. ჩხიძე

ზუგდიდი. ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა ჩატარა მესამე რაიონული ტურნირი, რომელშიც 16 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

რაიონის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდა მოჭადრაკე კ. ხორავა.

ბ. ალშიბაი

სიღნაღი. სოფლების — ანაგის, ნუკრიანის, ბოდბისხევისა და სხვათა კალათბურთელების ნაკრები გუნდების მონაწილეობით ამ დღეებში ჩატარებულ რაიონულ პირველობაზე გათამაშებაში გამარჯვებული გამოვიდა სიღნაღის ვაჟთა საშუალო სკოლა.

3. ასლაბაზოვი

ახალციხე. ამ დღეებში ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონულმა კომიტეტმა ახალგაზრდა მალაროელებისათვის მოაწყო საჩვენებელი სააგიტაციო სპორტული თამაშობანი, რომლებშიც მონაწილეობდნენ ახალციხის ფრენბურთისა და კალათბურთის გუნდები. მატჩების პროცესში მალაროელებს აცნობდნენ თამაშის წესებს, შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სპორტსმენ-მალაროელებს გადაეცათ სხვადასხვა სახის სპორტული ლიტერატურა.

5. ვარჯანაძე

სსრ კავშირის XII ჩემპიონატი

გათამაშების სერილი

მდგომარეობა 28 აპრილისათვის

„ა“ კლასის პირითალი შემაღლებლობები

გუნდები	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
„ზენიტი“	ლ.	3	3	0	0	11:3	6
„ლოკომ“	მ.	3	2	1	0	3:1	5
„დინამო“	ლ.	3	2	1	0	5:2	5
„დინამო“	მ.	3	1	2	0	4:2	4
„დინამო“	ერ.	3	1	2	0	4:2	4
„სპარტაკი“	თბ.	3	2	0	1	5:6	4
„დინამო“	ქ.	4	1	2	1	3:3	4
„შახტიორი“	3	1	1	1	2	2:3	3
„ტორპედო“	სტ.	3	1	1	1	5:7	3
ვეს	1	1	0	0	6	2	2
ცეკა	2	0	2	0	1	1	2
„ქრ. სოვეტ.“	2	0	2	0	0	0	2
„დინამო“	თბ.	3	1	0	2	4:7	2
„დინამო“	მწ.	3	1	0	2	3:4	2
„ლოკომ“	ხ.	3	1	0	2	1:3	2
„სპარტაკი“	მ.	3	0	2	1	0:2	2
„ტორპედო“	მ.	3	0	1	2	3:5	1
„ნეფტაინიკი“	3	0	1	2	1	6	1
„დაუგავა“	3	0	0	3	0	3	0

პირობითი ნიშნები: თ.—თამაშთა რაოდენობა, მ.—მოგებათა რაოდენობა, ფ.—ფრე, წ.—წაგება, ბ.—ბურთების შეფარდება, ქ.—ქულათა რაოდენობა.

ქ რ ი ნ ი ა

ვებქდავთ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე გუნდების („ა“ კლასი) შეხვედრების შედეგებს: „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:0, „ნეფტაინიკი“ (ბაქო) — „დინამო“ (მინსკი) 0:2, „ქრილია სოვეტოვ“ (კუბინევი) — ცეკა 0:0, „ტორპედო“ (სტალინგრადი) — ვეს 2:6, „შახტიორი“ (სტალინი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:1, „დინამო“ (კიევი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:0, „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 0:2, „დინამო“ (ერევანი) — „დინამო“ (მინსკი) — 2:0, „დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 0:0.



თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრა. სურათში: ბრძოლა მაღალი ბურთისათვის. ფოტო მ. დავითაძისა

ფეხბურთის მოედნებზე



მატჩის დამთავრებას ორი წუთი უკვლავ... თბილისის „სპარტაკის“ მარცხენა გარემარბმა გაგვიჩვენა ძლიერად დაარტყა კარში, მოსკოვის „ტორპედოს“ მეკარემ ლექსოვსკიმ ვერ შეძლო ბურთის ხელში აღება და ა. პაიჭაძემ გომესთან ერთად მოახლოვდა ბურთი გაიტანა. სურათში: ა. პაიჭაძე (მარცხნივ), გომესი (ცენტრში) და ლექსოვსკი.

უკანასკნელ წუთებში

„სპარტაკი“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი). 2:1 (1:0). თბილისის ლ. პ. ბერაის სახელობის სტადიონი. 21 აპრილი. მსაჯი პ. ბელიოვი (ლენინგრადი).

მრავალრიცხოვანი მაყურებელი გულთბილად შეხვდა გუნდების გამოსვლას მინდორზე. „ტორპედოს“ სახელს ამ დღეს იცავდნენ: ლექსოვსკი, ბიჩკოვი, ლუგანოვი, გომესი; ბოლშაკოვი, სოლომატინი (ზოლოტოვი), სოჩნევი, უარკოვი, ეფიმიოვი, ჩაიკო, ვ. პონომაროვი. „სპარტაკის“ რიგებში არიან — ოსელიანი; ხურციძე, შუღრა, კატანოვი; გუგუნიანი, კოლაძე; ბერძენიშვილი, წინთიბიძე, ა. პაიჭაძე; ლომაია, ა. გრამატიკოპულო (კ. გაგინიძე).

ლიერებენ დაწოლას და ინიციატივას იგდებენ ხელთ. ერთ-ერთი იერიშის დროს, ლომაია უსწრებს მხოლოდ დაშვებულ ბურთს და შეუჭრებლად, ძლიერი ლამაზი დარტყმით შორი მანძილიდან გზავნის მას კარის მარცხენა კუთხეში. ლექსოვსკის ნახტომი ამოა. 1:0 — მიკყავს „სპარტაკს“.

ასე მთავრდება პირველი ტაიმი. დამარცხების რეალურმა საფრთხემ „ტორპედოს“ დამოკიდებულება შეუცვალა თავისი ახალგაზრდა მოწინააღმდეგის მიმართ.

სპარტაკელები ენერგიული თამაშით წარმატებით იცავენ მონაწილეობის შედეგებს და დროდრო მეტად მწვავე იერიშებს ანიჭებენ.

24-ე წუთზე ოსელიანი, გადის რა ილი ბურთის მისაღებად, უნებურად მოხერხდება მას ხელიდან უკარგდება ბურთი და ვ. პონომაროვი თავისუფლად ათანაბრებს ანგარიშს. 1:1.

მაგრამ, „სპარტაკის“ ახალგაზრდული სული და ენთუზიაზმი შეუღლებილია გუნდის შეუპოვრად იბრძვის თამაშის ბოლო წუთამდე.

და აი, მსაჯის საფინალო სასტყენამდე 2 წუთით ადრე გაგვიჩვენა სურათად შემოუარა ბიჩკოვის და ბურთი ძლიერად დაარტყა კარის გასწვრივ, ლექსოვსკი უკან აგდებს ბურთს და პაიჭაძეს გომესთან ერთად მოახლოვდა ბურთი გაიტანა.

2:1. ახალგაზრდა გუნდის ბრწყინვალე გამარჯვება!

მსაჯის სასტყენის ხმა და... თბილისელთა საჯარო მოედანზე მცველებს უკვე მოუხდათ მწვავე შეტევის მოგერიება. შემდეგ ეფიმიოვი, ჩაიკო და სოჩნევი ლამაზი კომბინაციის შედეგად კვლავ უახლოვდებიან „სპარტაკის“ კარს, მაგრამ ბურთს შუღრა ეფუფლება... მეხუთე წუთია. ოსელიანი იღებს პირველ ბურთს ვ. პონომაროვისათვის.

ასე, სტუმრების უპირატესობით გავიდა მატჩის 15 წუთი.

„სპარტაკმა“, რომელსაც ნერეოლობის შედეგად ერთგვარი შებოჭილება ახასიათებდა, თანდათან აულო ალო მონაწილეობის თამაშის სტილს. მე-16 და მე-18 წუთებზე ლექსოვსკი ზედხედ იღებს ორ ძველ ბურთს. თბილისელები თანდათან ა-

როდესაც თბილისელებმა არაერთხელ ჩააყენეს რეალური საფრთხის ქვეშ ზენიტელთა კარი.

მატჩის შედეგი სულ სხვაგვარი შეიძლება ყოფილიყო, თუ არა მეკარე იოსელიანის სუსტი თამაში. ტექნიკურად უზადრეკი თამაშით იოსელიანი ახმა წყალში ჩაწყარა კოლექტივის სურათზე გამარჯვებისაკენ. ოთხივე ბურთის გაშვებაში მას დიდი „დაწვილი“ მიუღღის.

მეპარის სუსტი თამაში

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (თბილისი). 4:1 (1:0). თბილისის ლ. პ. ბერაის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 24 აპრილი. მსაჯი მ. დემიტრიევი (მოსკოვი).

ორი რიგითი წარმატების შემდეგ სპარტაკელთა გუნდი კვლავ გამარჯვების მტკიცე რწმენით გამოვიდა მოედანზე. ამის ნათელი დადასტურება იყო თამაშის პირველი ნახევარი,

როდესაც თბილისელებმა არაერთხელ ჩააყენეს რეალური საფრთხის ქვეშ ზენიტელთა კარი.

მატჩის შედეგი სულ სხვაგვარი შეიძლება ყოფილიყო, თუ არა მეკარე იოსელიანის სუსტი თამაში. ტექნიკურად უზადრეკი თამაშით იოსელიანი ახმა წყალში ჩაწყარა კოლექტივის სურათზე გამარჯვებისაკენ. ოთხივე ბურთის გაშვებაში მას დიდი „დაწვილი“ მიუღღის.

მინდორზე ბორის პაიჭაძე

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი). 2:1 (1:0). თბილისის ლ. პ. ბერაის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 25 აპრილი. მსაჯი კ. დემიტრიევი (ქ. ნარო-ფომინსკი).


ნილი ძლიერი ბურთი კარის ძელს ხვდება.

როდესაც გუნდები მატჩის წინ საჯაროდ გამოვიდნენ, სტადიონის ტრიბუნებზე მაყურებელთა ტანსაცმე გაისმა—მწვანე მოედანზე კვლავ გამოჩნდა საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი ბორის პაიჭაძე. მასთან ერთად დინამოელთა თავდასხმის ხუთეულში იყვნენ ჯოჯუა, ანთაძე, დლობერიძე და თორია. ნახევარდაცვაში პირველად ამ სეზონში გამოვიდა პანიუკოვი, დაცვაში — ქელიძე.

ტორპედოელთა კარს იცავდა ახალგაზრდა ბერლიოვოვი, დანარჩენ რგოლებში მოსკოველებმა იგივე შემდეგ

41-ე წუთზე გათამაშდა გარიშვითი — ვარდნილი (უკანასკნელმა შეტევითა პანიუკოვი) — პაიჭაძის კომბინაციით და ბურთის ცენტრში გოჯუა ეფუფლდა, შეუჭრებლად ურტყამს კარში და ანგარიში იხსნება.

შესვენების შემდეგ მოსკოველები მეტად აქტიუბენ და მე-11 წუთზე ახერხებენ საპასუხო ბურთის გატანას (ზოლოტოვი). თბილისელები რამდენიმე ვაგრებულ კომბინაციას ახორციელებენ. ერთ-ერთი იერიშის დროს მარცხენა ფრთაზე გათამაშებული კომბინაციის შედეგად ბურთი მიიღო ლოლობერიძემ და ლამაზი თხევრი გარტყმით იგი ბადეში გაახვიანგარიშით — 2:1. თბილისელებმა მოიპოვეს პირველი გამარჯვება.



მზიანი დღეები ღვას აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში. ქალაქის სპორტ-სმენები დიდი ხანია ზღვაში გავიდნენ ნავებით, იახტებითა და ბაიდარებით. სურათში: სპორტული სკოლის მოსწავლეები მორიგ შეცადინებობას.

დიდოსტა საკითხის გავიხიბი

გულავეზი. მეექვსე ტურში კოტოვა საუცხოოდ ჩატარა შეხვედრა საბოსთან. მიაღწია რა დებოლოტით მცირე უპირატესობას, მან თანდათან გააძლიერა იერიში. პარტია გადაიღო კოტოვისათვის. მოსაგებ მდგომარეობაში. სისლოვმა, რომელიც შეეხებოდა ეთამაშებოდა ბოლესლავსკის, სლავურ დაცვაში უფროდ გადავიდა ლაზიერები, ცუდ მდგომარეობაში ჩაეარდა და მალე დანებდა. ლილიენტალ-ბრონშტეინის და ფლორ-კერესის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ნაიდორფ-შტალბერგის შეხვედრა გადაიღო უკანასკნელისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

რა. კერეს-ნაიდორფის, ბრონშტეინ-ბოლესლავსკის და ფლორ-საბოს პარტიები გადიდო. მეექვსე ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა ლილიენტალისა და კერესის შეხვედრა. ისინი მე-18 სელაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ფლორ-სიმისლოვის პარტია. ბრონშტეინმა ცაიტნოტში შტალბერგთან დაუშვა უხეში შეცდომა და წააგო პარტია.

გადადებული პარტიების დამთავრებისას კოტოვა უნგრეთის ჩემპიონ საბოსთან შეხვედრაში ზუსტად გამოიყენა პოზიციური უპირატესობა და გამარჯვებას მიაღწია. საბოს გადადებული პარტია აგრეთვე სისლოვთან, რომელმაც დიდი ოსტატობა გამოიჩინა დაცვაში და 73-ე სელაზე ყაიმს მიაღწია. ყაიმით დამთავრდა შტალბერგ-ფლორის პარტია.

24 აპრილს მოხდა გადადებული პარტიების დამთავრება. თამაშის განუახლებლად ფლორი დანებდა საბოს, ხოლო კოტოვი-ბოლესლავსკის. საბო-ნაიდორფის, ბრონშტეინ-ბოლესლავსკის, ნაიდორფ-შტალბერგის და ნაიდორფ-კერესის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მეშვიდე ტურის ყველა შეხვედრა აღინიშნა დაძაბული და მწვავე ბრძოლით. ლილიენტალმა შტალბერგის წინააღმდეგ აშკარა მოსაგებ მდგომარეობას მიაღწია, მაგრამ ცაიტნოტში დაუშვა შეცდომა, რამაც საშუალება მისცა შტალბერგს გაეუფლებინა მდგომარეობა. 31-ე სელაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე სისლოვ-კოტოვის შეხვედრა.

მეცხრე ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა ტურნირის ლიდერების პარტიები. ბოლესლავსკი და შტალბერგი 27-ე სელაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ბრონშტეინ-კერესის პარტია. მწვავე ბრძოლის შემდეგ კოტოვა დაამარცხა ფლორი.

მოსწავლეთა დღესასწაული

23 აპრილს ლოზუნგებითა და სპორტული ბაირალებით მორთულ თბილისის ლ. 3. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე დაიწყო დედაქალაქის მოსწავლეთა შესამე-სახეფხულო ტრადიციული სპორტული დღესასწაული.

სრულ 11 საათზე გაიმართა სპორტული მონაწილეთა პარადი. მოედანზე მწვაობრი რიგებით შემიღიან ნორი მძლეოსნები, ფეხბურთელები, კალათბურთელები, ჩოგბურთელები, ტანმოყვარეულები, მსროლელები, სწავლასა და სპორტში წარჩინებული — მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ახალგაზრდობა.

...ორკესტრი ასრულებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნს. რესპუბლიკის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის ტანმოყვარეობაში გ. ბეჟანიშვილი (ცაილა პირველი საშუალო სკოლა), საკავშირო რეკორდსმენი მ. გეგეშიძე (ცაილა მე-4 საშუალო სკოლა), კალათბურთულ გოგონათა გუნდის კაპიტანი ა. ასიტაშვილი (ქალთა მე-16 საშუალო სკოლა) აღმართავენ სპორტული ვახსნის ალაშ.

იწყება შეჯიბრება მძლეოსნობასა და ფეხბურთში.

სპორტული პირველ დღეს ვაილა მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლემ გ. ასათიანმა 15-16 წლის ვაზუტათვის ჭოკით ხტომაში დაამყარა რესპუბლიკური რეკორდი — იგი 3 მეტრზე გადახტა. რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა კონკურსის გარეშე მონაწილემ ფიჭულტურის ტექნიკუმის სტუდენტმა ნ. ლუპორევამ. მან ბირთვი ჰკრა 10,28 მეტრზე. ქალთა 39-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. მუხამ ბაღრო სტყორენა 31 მეტრსა და 37 სანტიმეტრზე, რაც საქალაქო რეკორდია. ქალთა 42-ე საშუალო სკოლის მოსწავლე გ. ვნიოტოვა სიმბიდლეზე გადახტა 145 სანტიმეტრზე. 100 მეტრი საუკეთესოდროში, 12,0 წამში, გაირბინა ქალთა 30-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ კ. რიყინაშვილმა (15-16 წლის გოგონებისათვის რეკორდი ეკუთვნოდა ნ. ნიკინას და უდრიდა 12,6 წამს).

სპორტული ვაგარმელებმა 7 მიმსამდე.

მომოსიკისათა შეჯიბრება

სოხუმში ჩატარდა თბილისისა და სოხუმის მოტოციკლისტთა შეჯიბრება. 125 კუბ. სმ. ტევალობის მანქანებით 25 კილომეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა სპორტის ოსტატმა ა. საბურხანიამ, 350 კუბ. სმ. ტევალობის მანქანებით ამავე მანძილზე გაიმარჯვა თ. ჩხაიძემ (ორავე თბილისიდან).

სპორტული და ტექნიკური

ველომარულა „თბილისის რგოლი“

გახულ კვირას ბერიას სახელობის მოედანზე მრავალრიცხოვანმა მათურებელმა მოყვარე თავი. მათი ყურადღება მიპყრობილი იყო მოედნის ცენტრისაკენ, სადაც მარულის სტარტის წინ უკანასკნელ საშაღისში გართული იყვნენ ქალაქის უძლიერესი ველოსიპედისტები.



საათის ისარი 12-ს უახლოვდება. 25 სპორტსმენი მოეწყო სტარტზე. ისინი შეუპოვარ ასპარეზობაში ველომარულაში „თბილისის რგოლი“ — ერთმანეთს შეეცილებიან ვაზეთ „მოლოლო სტალინეცის“ გილოდოსა და თასს. ეს მარულა შარშან პირველად ჩატარდა და ვაზეთის კარგი თაოსნობა უკვე ტრადიციად იქცა ველოსიპედისტთა შორის.

შეჯიბრებამ პირველ წუთებიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო, მაგრამ რუსთაველის პროსპექტზე ლიდერობა არავინ ითავა. დაწინაურდა გეგუფი ვ. გონჯოლიანის, ა. გუნიახ, მ. ბეჟანიშვილის, ვ. ქინქლაძის, ი. სტეპანოვის, ა. საფრონოვისა და სხვათა შემადგენლობით.

მოწინააღმდეგე გამოაშუქდა და პირველმა გადააქვეთა ფინიშის ხაზი. მანძილი 7,5 კილომეტრი მან დაეფარა 11 წუთსა და 85,9 წამში. ფინიშთან მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. ქინქლაძე, მესამე — მ. ბეჟანიშვილი.

ლენინის ქუჩაზე აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკისთან წინ გაიჭრა სპორტის ოსტატი ა. გუნია. დაღმართში იგი შეუწინაღებლად დააწვა პედალებს და დიდი სისწრაფე განავითარა... 65-70 კილომეტრი საათში გუნიახ ინტერვალით მისდევენ სტეპანოვი, გონჯოლიანი და სხვები.


პირველი გუნდური ადგილი 29 ქულით მოიპოვეს „დინამოს“ სპორტსმენებმა. ერთი ქულის განსხვავებით მეორე ადგილზე გამოვიდა „ბოლშევიკის“ კოლექტივი, მესამე ადგილი დარჩა „მედიკის“ გუნდს.

პლენარის პროსპექტზე პირველი ვაილა სპორტის ოსტატი სტეპანოვი, მაგრამ მას მალე დაეწია მოწინააღმდეგეთა გეგუფი. ასე გუნდად გაიხრიალეს ველოსიპედისტებმა მთავარ ფოსტამდე. აქ კი ერთბაშად დაწინაურდა გონჯოლიანი. ერთხანს მას არავინ გაჰყვა, გუნიახ ელოდნენ, როდის დაედევნებოდა გონჯოლიანს... უკანასკნელი კი თანდათან ავითარებდა სისწრაფეს და, როდესაც დაწინაურდა „გონს მოვიდნენ“, უკვე გვიან იყო.

გამარჯვებულ კოლექტივს გადაეცა ფიჭულტურის-საქალაქო კომიტეტის დიპლომი და ვაზეთ „მოლოლო სტალინეცის“ თასი. ვ. გონჯოლიანს ამხანაგებისა და მათურებელთა ტაშის გრილობი გადაეცა „მოლოლო სტალინეცის“ სახელობითი გილოდო-მაჯის საათი და ფიჭულტურის საქალაქო კომიტეტის დიპლომი.

დამლომები გადაეცათ აგრეთვე მეორე და მესამე ადგილზე გამოსულ გუნდებსა და ველოსიპედისტებს.

ვ. გონჯოლიანმა („ბოლშევიკი“) კარგი ტაქტიკური და ტექნიკური



სურათი: ვეით-ვ. გონჯოლიანი ფინიშთან; ქვეით-„თბილისის რგოლის“ ერთ-ერთი მონაწილე სტარტის შემდეგ.

ფოტო კ. კრიშკისა ტექსტი შ. შუბლაძისა

პვიკომა მუხნაის აბაკაზა

მუხნაისი. (ჩვენი კორ.). კომკავშირისა და ფიჭულტურის საქალაქო კომიტეტებმა 16 აპრილს მუხნაისის აუარაზე ჩატარეს კვირაობა სპორტული მოედნების მოსაწყობად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 650 ფიჭულტურელმა და კომკავშირელმა.

იოლრომის შენახლობა

შრომელთა დებუტატების ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომისა და საქართველოს კ. პ. ბ) ბათუმის რაიკომის გადაწყვეტილებით ქალაქის ასლის, სოფელ ანგისაში შენდება დიდი იოლრომი. ყოველ კვირა დღეს აქ სამუშაოდ მოდიან რაიონის წარმოება-დაწესებულებების ასობით მუშა-მოსამსახურნი და მოსწავლეები. იოლრომის მშენებლობისათვის განკუთვნილი შეიდი პექტარი ფართობი ვაშენილია ქვებისა და კუნძებისაგან, ზედაპირი მოსწორებულია. იოლრომის ტერიტორია შემოიღობება, იგება ტრიბუნები და თავლები ცხენებისათვის.

რედაქციისაგან

წერილში „კლასში 19 გუნდია“, რომელიც დაიბეჭდა ჩვენი ვაზეთის 14 აპრილის ნომერში, შეცდომით აღნიშნული იყო, რომ საფეხბურთო კოლექტივები, რომლებიც 1950 წლის ჩემპიონატის „კლასში“ დაიკავებენ უკანასკნელ შეილ ადგილს, 1951 წელს გადავლენ „ბ“ კლასში. ნამდვილად „ბ“ კლასში გადავა ექვსი კოლექტივი, ე. ი. ისინი, რომლებიც დაიკავებენ მე-14, მე-15, მე-16, მე-17, მე-18 და მე-19 ადგილებს.

ბათუმის რაიონი.

ბასუსისმგებელი რედაქტორი მ. კაკაბაძე

სპორტის ისტორიკოსი

ქართველ ხალხში ძველთაგანვე დიდ იყო გავრცელებული ჯირითი და მარულა. ამ საინტერესო ასპარეზობას მისდევდნენ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.

ჯირითი და მარულა

თანამოკალმე პეტრე უმიკაშვილი: „...ნაგობარი სხვა არაფრით შესანიშნავი არ არის ან შენობით, ან მუშაობით, მხოლოდ მკათათვეში (კვირიკობის თვეში) მულამ წლობით ბაზარი ანუ იარმარკა იმართება, რომელსაც გურულები ქალაქობას ეძახიან. წელს ქალაქობა შაბათს ცამეტ მკათათვეს დაიწყეს და ოცდარამდის დიდძალი ხალხი მოდიოდა მთელი გურიიდან. საიდან სად გურიის რომელ სოფლიდან გინდა, აქ ხალხი მოდიოდა ქვევით, ცხენით, ალბით და ტარანტასით. ფოსტის სადგურებში მგზავრებს სიმრავლით დიდ ხანს დაედა უნდებოდა. პირველ კვირას მულამდღე ოთხ-ხუთი ათასი მარულა იქნებოდა ხალხი... ჯირითი გაიმართა შაბათს, მკათათვეს 20-სა.

ავციათ), მარდათ აქროლებდნენ ცხენებსა, მარჯვედ ისროდნენ ჯირითსა და მკვირცხლად იცდებდნენ და იქონდნენ მობირდაბირის სასროლსა. ჯირითის გოხები კი წინათვე მომზადებული არა სცოდნათ, როგორც ადრე ქალაქში გენახავს ლამაზად გათლილი (ბილიარდის ვასაეთი); რაც ხდებოდათ ეგვიპტეთა როკიან სარეზს ესროდნენ და ბევრს მგონია გვერდები კარგად დაუზილეს... ცხენების ტენებაში ბევრს ოხუნჯობდნენ ქობულეთელები“.

თბილისში ჯირითი ჩაღდებოდა თელთობას, ქალაქის კარების გარეთ — ორთაქალისაკენ და მთაწმინდობას — ენდლანდელ რუსთაველის პროსპექტზე.

...ეს ჯირითი ყველასათვის საამო საყურებელია, რადგან მთელ საქართველოში ისე არსად არ დარჩენილა ეს მშვენიერი ვარჯიში, როგორც გურიაში წარმოებს... გამოვიდნენ ბევრნი ცხენოსანნი, მაგრამ მოჯირითე თხუთმეტზე მეტი არ ყოფილა. უფრო გამოჩენილად იჯირითეს რვა-ცხრა კაცმა, ამათში ხუთმა ქობულეთელმა... მინდლანდელი ქობულეთელებმა და ამშვენეს ეს ჯირითი. შევეროდა ცხენზე ჯდომა გურულათ ჩაქმულებს (ქობულეთშიც გურული ტანისამოსი

პეტრე უმიკაშვილი, ჩამოთვლის რა ჯირითის ყოველგვარ წესს და ამ დიდ მნიშვნელობას, რაც მას მოქმედ აღმანიას სტრუქტურის გაკავებისათვის, სვედამორეული ასევის: „რა კარგი იქნებოდა ჯირითი და საზოგადოთ ყველა შესაქცევარი ვარჯიშობა არ გადავარდეს“.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შედეგად ქართული სპორტის სხვადასხვა სახეობათა შორის ჯირითი და მარულა აღდგენილია თავის უფლებებში. ჩვენში დიდი ყურადღება ექცევა ნაციონალური სპორტის ამ სახეების გადრმა-ვებას და გაფართოებას და, რაც მთავარია, მათს მასობრივობას.

1878 წელს თბილისში გამართულ მარულაში თავი ისახელა პოეტ გრიგოლ ორბელიანის „მერცხალმა“. ამ ცხენმა 1879 წლის ოქტომბერში გამართულ დოლშიც გაითქვა სახელი. ამის შესახებ „დროება“ წერდა: „ბოლოს ორჯერ გადადების შემდეგ, ამ თვის 29 და 30-ს, როგორც იყო, გაიმართა ჩვენს ქალაქში დოლი. გაიმართა, მაგრამ პირველ დღეს საშინელი ქარისა და სიცივის გამო თვითონ დოლიც მაინცდამაინც საინტერესო არ იყო. ამ დღეს მეორე გილოდო გ. დ. ორბელიანის ცხენმა მოიგო“... ჯირითის უფრო დასავლეთ საქართველოში ეტანებოდნენ. იგი გურიაში, უმთავრესად, ნაგობარს ბაზრობის დროს იმართებოდა ხოლმე ივლისში. 1874 წელს აქ ჩატარებულ შეჯიბრებას შემდეგნაირად გადმოგვცემს დიდი ილიას განუყრელი მეგობარი და